საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 23 თებერვალი, 2012 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 113

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესში ცვლილების შეტანის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის; 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი"-ს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
- „ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტის აღდგენა რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დასაშვებია, თუ სტუდენტი დაფარავს ფინანსურ დავალიანებას სტატუსის შეჩერებიდან მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში. სხვა დანარჩენ შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხორციელდება მობილობის წესით."

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია